საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 5250/01
09/06/2020

5250-01-2-202006091645

ფიზიკურ პირს ნიკოლოზ ნადრიანს

მის: სიღნაღის რ-ნი სოფ. ბოდბე

ბატონო ნიკოლოზ,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 4 ივნისის №8296 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბოდბეში ფიზიკური პირის ნიკოლოზ ნადრიანის ნუშის ბაღის სარწყავი სისტემის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტს.

გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- წარმოდგენილი GPS კოორდინატების (X – 560378; Y – 4583601) ელექტრონული გადამოწმებით დადგინდა, რომ პროექტით განსაზღვრული წყალაღების წერტილი ხვდება დაცული ტერიტორიის (ივრის აღკვეთილი) საზღვრებში. შესაბამისად, განახლებულ სკრინინგის განცხადებას თან უნდა ახლდეს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ წყალაღების წერტილსა (GPS კოორდინატები X – 560378; Y – 4583601) და მითითებულ საკადასტრო კოდს (56.10.70.090) შორის უახლოესი მანძილი 350 მეტრია, ხოლო სკრინინგის განცხადების მიხედვით საპროექტო მილსადენის ტრასის სიგრძე 180 მ-ია, რაც საჭიროებს დაზუსტებას. ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს სიტუაციური სქემა, სადაც ნაჩვენები იქნება წყალაღების წერტილიდან მოსარწყავი მიწის ნაკვეთამდე საპროექტო მილსადენის მონაკვეთი;
- წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სამელიორაციო სისტემის გაყვანასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტთან შეთანხმების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს თქვენ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. გაცნობებთ, რომ სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით დოკუმენტაციის სამინისტროში წარმოდგენის შემდეგ.

პატივისცემით

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე